მტკვარი ენერჯი-ს საკაბელო მეურნეობის ხანძარქრობის სისტემის აღწერა

საწარმოში არის დამონტაჟებული წლით ხანძარქრობის სისტემა რომლის მართვა ხდება სახანძრო სიგნალიზაციის მართვის პულტიდან (პანელიდან).

არსებული პანელი და მასზე მიერთებული მოწყობილობები (დეტექტორები) უნდა შეიცვალოს ახლით. უცვლელი რჩება სახანძრო სადენი რომელიც მაქსიმალურად ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული და საჭიროების შემთხვევაში უნდა დაემატოს ახალი. სისტემა უნდა იყოს მისამართინი, იმისთვის რომ იყოს წერტილოვნი და ზუსტი ხანძრის ან დაკვამლიანების კერის აღმოჩენის საშუალება და უნდა გააჩნდეს ხანძარქრობის მოწყობილობების მართვის ფუნქციონალი. ახალი სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს და უნდა მოხდეს მისი ინტეგრირება არსებულ ხანძარქრობის დანადგარებთან.

სისტემაში გამოყენებულია როგორც კვამლის ასევე სითბური დეტექტორები, იმისთვის რომ მინიმუმდე იყოს დაყვანილი ცრუ განგაშის ალბათობა. განგაშის სიგნალი ირთვება მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ჩაირთვება ორივე ტიპის (კვამლის და სითბური) ერთმანეთის გვერდზე მდებარე დეტექტორი. ერთერთის ჩართვის შემთხვევაში მიდის მხოლოდ „ყურადღების“ შეტხობინება. განგაშის მოსვლის შემდეგ ხანძარქრობის ჩართვა ხდება დაყოვნებით (შეთანხმდეს მომსახურე პერსონალთან) - პერსონალს აქვს დრო რომ გადამოწმდეს არის თუ არა განგაში ნამდვილი და ამის შემდეგ ხელოვნურად ჩართოს ხანძარქრობის ტუმბო საჭირო მიმართულებაზე ან გათიშოს განგაში. თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში პერსონალის მხრიდან არ მოხდა რეაგირება სისტემა ავტომატურად ჩართავს ხანძარქრობას საჭირო მიმართულებაზე.

ყველა დეტალი უნდა იყოს შეთანხმებული წინასწარ მომსახურე პერსონალთან ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.